ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №765999

ნომერი: AR1134124

თარიღი : 25.06.2013

გაცემის თარიღი : 28.06.2013

გაცნობის თარიღი : 02.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალსა და საავადმყოფოების კომპლექსს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ხიზანიშვილი პ/ნ 01015007105
- თბილისი საადის ჩიხი N 3

ორგანიზაცია:
- ი.მ. დავით ხიზანიშვილი ,,archidat,, კოდი: 01015007105

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად განმეორებით გაცნობებთ, ვინაიდან მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, მოგახსენებთ შემდეგს: სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მსუბუქი კონსტრუქციის შენობის განთავსება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი განთავსება მოხდება ნაკვეთის სიღრმეში და ხილვადობა ბალანჩინის (დიდი დიღომიდან გლდანში მიმავალი მაგისტრალის) მხრიდან საერთოდ არ იქნება აღქმადი. ხოლო წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ საპროექტო შენობა/ნაგებობა აღქმადია ქუჩის მხრიდან.

შესაბამისად „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“–ს ველში დამატებით აიტვირთოს შორი მანძილიდან, ბალანჩინის ქუჩიდან გადაღებული ფოტომასალა, ხოლო „ფოტომონტაჟი“–ს ველში ამ ფოტომასალაზე დამუშავებული ფოტომონტაჟები, ასევე შეიცვალოს „ფაილის მიმაგრების“ ველში საკადასტრო გეგმაზე დატანილი საპროექტო შენობა/ნაგებობის განთავსების არეალი.

ასევე, ვინაიდან სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ამონაწერის მიხედვით ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია მოქ. მამუკა ყრუაშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართავთ თქვენ მოქ. დავით ხიზანიშვილი, საჭიროა წარმოადგინოთ, უფლებამოსილი პირის თანხმობა აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა ატვირთოთ "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა"–ს ველში, ან მისი მინდობილობა გაცემული თქვენს მიმართ, რომელიც უნდა ატვირთოთ "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"–ს ველში. ასევე შესაძლებელია მოქ. მამუკა ყრუაშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.